ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

12 (9904) • 4 aprili • 2011 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

შეწყდეს ზეწოლა გაზეთ „ალიონზე!“

21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღეს, გაზეთმა „ალიონმა“ ქ. ოზურგეთის ცენტრში, საპროტესტო აქცია გამართა. აქციას ესწრებოდნენ გაზეთების: „გურია ნიუსის,“ „გურიის მოამბის,“ „გურიის დროს,“ ტელეკომპანია „გურიას,“ რადიო „იმედის“ ჟურნალისტები, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლები.

აქციის მთავარი მოთხოვნები იყო: „ შეწყდეს ზეწოლა გაზეთ „ალიონზე;“ „მოგვეცით სანჯარო ინფორმაცია;“,„ჟურნალისტებო, დავდგეთ ერთად, ჩვენი უფლებების დასაცავად.“

გაზეთი „ალიონი“ წლების მანძილზე განიცდიდა სხვადასხვა სახის ზეწოლას ხელისუფლებიდან. იყო პოლიციაში „გასაუბრებაზე“ დაბარების ფაქტი, ფინანსური სანქცია და ა.შ.

გაზეთ „ალიონის“ მიერ, საჯარო ინფორმაციის დროულად მოპოვებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მცდელობა მარცხით მთავრდება. საჯარო ინფორმაციის მიღებისას ათასნაირ ბარიერს გვიქმნიან. ზემოთხსენებულის დასადასტურებლად შემდეგი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: 2010 წლის 28 ოქტომბერს რედაქციამ მოითხოვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ინფორმაცია სოციალური დახმარებების გაცემასთან დაკავშირებით. პასუხი 2011 წლის 12 იანვარს მივიღეთ.

რედაქციას უბლოკავენ ინფორმაციებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ.

შარშან, რეგიონული მედიის ურთიერთდახმარების ფონდში (იგი 8 რეგიონულმა გაზეთმა, მათ შორის „ალიონმა“ დააარსა), გაზეთმა შეიტანა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ოზურგეთში საგაზეთო ჯიხურის დადგმას. აქ სხვა პერიოდულ გამოცემებთან ერთად საქართველოს რეგიონების რიგი გაზეთების რეალიზაცია უნდა მომხდარიყო. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თავდაპირველად შეთანხმებას მივაღწიეთ. შემდეგ კი ჯიხურის დასადგმელი ადგილი გასცეს და პროექტის განხორციელების საშუალება არ მოგვცეს.

გურიის ხელისუფლება ცდილობს რედაქციების დაპირისპირებას და ამ მიზნით საბიუჯეტო სახსრებს იყენებს. გაზეთს ხელს უშლიან დისტრიბუციაში. არის ჟურნალისტების გადაბირების შემთხვევები.

აქციაზე ერთ-ერთ პლაკატს ეწერა: „გახსოვდეთ 1937! –გაზეთ „ალიონის“ 80-წლიან არქივს განადგურება ემუქრება!“ მასზე გაზეთის 1937 წლის რეპრესიების ამსახველი რამდენიმე წერილი იყო წარმოდგენილი. 2005 წლის ხანძრისას რედაქციის არქივის გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ იმდენად დაზიანებულია გაზეთის კომპლექტები, თუკი მისი ელექტრონული ვერსიის შექმნა არ მოხერხდა, არქივს განადგურება ემუქრება.

„ალიონელები“ თვლიან, რომ თავისუფალ სიტყვას გაფრთხილება სჭირდება; დემოკრატია მთავრდება იქ, სადაც საზოგადოება ამის უფლებას მისცემს ხელისუფლებას.

გახსოვდეთ 1937!

ამ რუბრიკის ქვეშ გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იწყებს 1937 წლის რეპრესიების და სხვა მასალების გამოქვეყნებას. თავდაპირველად უფრო „მსუბუქი“ მასალები შევარჩიეთ, საიდანაც კარგად ჩანს საბჭოთა იმპერიის ჯოჯოხეთური მანქანის მუშაობა და შიშის ფაქტორი როგორ თრგუნავდა და ანადგურებდა ადამიანის ფსიქიკას, რომელთა ცნობიერებაში თავდაცვის ცხოველური ინსტინქტი იყო მთავარი. ადამიანები, რომლებიც სხვებს „ამხელდნენ“, შემდეგ თავად ხდებოდნენ რეპრესიული მანქანის მსხვერპლნი. მათი მომავალი ან შორეული „გულაგი“ იყო, ან ოზურგეთში შიხსახკომის ჯურღმულში სამეულის მიერ სახელდახელოდ გამოტანილი განაჩენი. მაგ. სოფ. ასკანისა და სხვა უფრო მძიმე კრების მონაწილე მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი მამია კილაძე იმავე წლის 21 სექტემბერს რაიკომის III პლენუმმა გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო შემდეგ სხვების ბედი გაიზიარა. ეს ყოველივე კეთდებოდა იმისათვის, თითქოს ისინი „თავიანთ ბინძურ ხელებს ჩვენ საამურ და სიუხვით დამტკბარ ცხოვრებაში აფათურებენ.“

▶▶▶ გვ-5

გილოცავთ ქართული ჟურნალისტიკის დღეს!

▶▶▶ გვ-3

„თუ განსხვავებული აზრი არ იქნება, ქვეყანა ვერ განვითარდება!“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები შეხვედრებს მართავენ მოსახლეობასთან. ამ შეხვედრების მიზანი ხელისუფლების მიერ სოფლის მოსახლეობასთან ერთად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების პრიორიტეტების განსაზღვრა იყო. თუ ჰიმითში მოსახლეობა უფრო ნდობით იყო გამსჭვალული, ამ პროგრამის ეფექტიანობის მაჩვენებლის მიმართ, ნაგომარში სულ სხვა სურათი დაფიქსირდა. ამ პროგრამის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებს ნაგომრის მოსახლეობა უარყოფითად აფასებს. მათი თქმით, არანაირი ეფექტი ჯერ-ჯერობით ამ პროგრამას არ მოუცია. მოსახლეობის გულისწყრომას მათი თქმით არამიზნობრივად გახარჯული თანხები და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები იწვევს.

▶▶▶ გვ-4

„თავისუფალი დემოკრატები“ სოციალური პაკეტის გადახედვას მოითხოვენ

„თავისუფალი დემოკრატების“ გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ, ოზურგეთის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგი, პ/გ ოზურგეთის ორგანიზაციის გამგეობის წევრი **ტიტე მგელაძე** ორგანიზაციის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელად წარადგინა.

▶▶▶ გვ-4

ანა ბერძენიშვილი 80 წლისაა

„ყველაზე დიდი გრძნობა, რაც უფალმა ადამიანს მისცა, ესაა გათვითცნობიერებული სიყვარული. სიყვარულმა არ იცის შურლი, ეგოიზმი, გაცემა“ – ამბობს მასწავლებელთა მასწავლებელი, ქართული ენის უპირველესი მესიტყვე ანა ბერძენიშვილი.

▶▶▶ გვ-3

გაზეთ „ალიონის“ აქციას ოზურგეთის საზოგადოება გამოეხმაურა

გაზეთი „ალიონი“

გაზეთ „ალიონის“ მიერ გამართულ აქციას, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის დღეს მიეძღვნა, ადგილობრივი მედიასაშუალებების, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აქციის ორგანიზატორმა, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა ჟურნალისტებს პროფესიული დღე მიულოცა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილ ჟურნალისტთა ხსოვნას, შემდეგ ისაუბრა იმ ზეწოლაზე, რომელიც გაზეთ „ალიონის“ და იმ მედიასაშუალებების ირგვლივ მიმდინარეობს, რომელიც ჩვენი საზოგადოების პრობლემებს ასახავს. ხელისუფლება კარგად შეფუთული მეთოდებით ახორციელებს ყოველივე ამას და ცდილობს ასეთი მედიასაშუალებების დახურვას. ნუგზარ ასათიანმა ისაუბრა იმ მოსალოდნელ საფრთხეზე, რომელიც გაზეთის უნიკალური არქივის განადგურებას ემუქრება. აქციის მოთხოვნას, „შეწყდეს ზეწოლა გაზეთ „ალიონზე“; „მოგვეცით საჯარო ინფორმაცია“; „ჟურნალისტებო, ერთად დავიცვათ ჩვენი უფლებები“, ოზურგეთის საზოგადოება გამოეხმაურა და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს.



ვახტანგ მამეიშვილი, *მხატვარი; ბ-ნმა ვახტანგმა* თავდაპირველად გერმანელი პასტორის სიტყვები გაიხსენა და საზოგადოებას მართალი სიტყვისა და სიმართლისათვის ბრძოლაში ერთად დგომისაკენ მოუწოდა – „როცა გაზეთი სიმართლეს ბეჭდავს, როცა გაზეთი იბრძვის ადამიანის უფლებების დაცვისათვის, სიკეთისათვის, იმ გაზეთს საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს. უბრალოდ ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ხდება ეს ასე. ყველა მთავრობა, რომელმაც წესი გამოიყენა ისეთი, რომელიც ჟურნალისტებს ებრძოდა, დაკარგა თავისი ხელისუფლება. ამიტომ ცოტა უფრო ჭკვიანად უნდა მიუდგეს პრესასთან ურთერთობას მთავრობა და გააძლიეროს ის დემოკრატიული ინსტიტუტები, რომელიც თავისუფლებას სჭირდება. მინდა ვთქვა, რომ „ალიონი“ ჩვენი გაზეთია. ჩვენ გაზეთს ჩვენ უნდა მივხედოთ.

შოთა გოგიბერიძე, *„ეროვნული ფორუმის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:* შოთა გოგიბერიძემ 1937 წლების რეპრესიების ანალოგად დაასახელა XXI საუკუნის ბოლო ათწლეული და საზოგადოებრივ პრობლემებზე ისაუბრა.

– მინდა გამოვეხმაურო თქვენს აქციას. დღეს აქ კიდევ უფრო მეტ ადამიანს ველოდი.

მწყინს, რომ ადამიანები ასე არიან დაშინებულნი. როცა საუბარია ოზურგეთის საუკუნოვან, მემატიანე გაზეთზე, რომელმაც უამრავი ჭირი და ლხინი გამოატარა ჩვენი რეგიონისა, ათეულობით წლების განმავლობაში და ასეთი პრობლემების წინაშე დგას, არ მინდა ვილაპარაკო ხელისუფლებაზე. ისედაც აშკარაა ყოველივე. თუმცა საზოგადოებამ თავად უნდა გასცეს ხელისუფლებას ადექვატური პასუხი. ის უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე და ზოგიერთი ჩინოვნიკის დავალების მიუხედავად, გამოიწერს, თუ არა ის გაზეთს, მან უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და გადადგას ნაბიჯი, თუნდაც გაზეთის გამოწერით დაუდგეს გვერდით მედიას.“

ნინო ლომჯარია, *ჟურნალისტი, პ/გ „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი:* მინდა მოგილოცოთ ქართული ჟურნალისტიკის დღე. ყველას გისურვებთ თქვენი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ჩვენ ვიცით, რაოდენ რთულია ჟურნალისტის პროფესია და რამდენად რთულ გარემოში უწევთ მუშაობა იმ ჟურნალისტებს, რომლებიც თუნდაც უსახსრობისა და ზეწოლის მიუხედავად მაინც ახერხებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას და მართალი სიტყვის თქმას. „თავისუფალი დემოკრატები“ სოლიდარობას ვუცხადებთ გაზეთ „ალიონს“ და თითოეულ ასეთ ჟურნალისტს

ზაზა ცინცაძე, *„თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ფრთა:* – „მოგესალმებით „თავისუფალი დემოკრატების ახალგაზრდული ფრთა. ყველა ობიექტურ ჟურნალისტს გილოცავთ პროფესიულ დღეს. მინდა ჩვენი აზრი და სოლიდარობა გამოვხატო გაზეთ „ალიონის“ მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ გაზეთი „ალიონი“ არის 80 წლის. უდიდესი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე გაზეთი. გვინდა შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი მედია არის სწორი ნაბიჯი დემოკრატიისაკენ გადადგმული.

ლელა ნაცვალაძე, *„ეროვნული საბჭოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი:* – მე, როგორც საკრებულოს დეპუტატი, აქ პოლიტიკურ განცხადებებს არ გავაკეთებ, პირველ რიგში ყველა ჭეშმარიტ ჟურნალისტს მინდა მივულოცო დღევანდელი დღე. მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო გაზეთ „ალიონს“.

პირველი შემთხვევა არ არის, როცა გვესმის, ზეწოლა მიმდინარეობს ასეთ ცნობილ და საკმაოდ მნიშვნელოვან გაზეთზე. მე, როგორც საკრებულოს დეპუტატი, გპირდებით, რომ ჩავუღრმავდებით ამ საკითხებს, შევისწავლით, პრესკონფერენციების სახით გამოვეხმაურებით და ვაცნობებთ ფართო საზოგადოებას, თუ რას აკეთებს ხელისუფლება და მართალ სიტყვას როგორ ახშობს.“

ზინა სალუქვაძე, *საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი:*

გაზეთი „ალიონი“ ეს იყო და არის ოზურგეთელთათვის ულამაზესი და უსაყვარლესი გაზეთი, სადაც იწერებოდა სიმართლე. ვინც არ კითხულობს და ვინც არ იწერს გაზეთ „ალიონს“, ეს არის დანაშაული ოზურგეთის წინაშე. ყველა გაზეთი კარგია, მაგრამ საკითხავია რა იწერება და როგორ იწერება ჩვენი სინამდვილე. სიამოვნებით ვიღებ გაზეთის ყოველ ნომერს, რომ გავიგო რაღაც ახალი და ძალიან ლამაზად დაწერილი. ყველა გაზეთი უნდა იყოს და უნდა იყოს გაზეთი „ალიონი“, რომელიც არის პირველი და პირველი დარჩება ყოველთვის თავისი სიტყვისა და შინაარსის მადლით.

რედაქციას დაუკავშირდა პ/გ „თავისუფალი დემოკრატების გურიის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თემურ სალუქვაძე, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება. მან სოლიდარობა გამოუცხადა გაზეთ „ალიონს“ და ყველა იმ ჟურნალისტს, რომელიც იბრძვის თავისუფალი სიტყვისათვის. აღნიშნა, რომ აქცია იყო სწორი და აუცილებელი, რადგანაც მათი პარტიისა და მთელი საქართველოს საღად მოაზროვნე ნაწილის საფიქრალი და საზრუნავია, როგორ გათავისუფლდეს მედია ხელისუფლების სხვადასხვა ფორმის ზეწოლისაგან. –„თავისუფალი მედია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ძირეული საკითხია. ამ თემის სადარაჯოზე უნდა იდგეს არა მარტო ოზურგეთი, არამედ ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები. მათგან მეტი აქტიურობაა საჭირო, მით უმეტეს, როცა ასეთ აქციას აწყობს გაზეთი „ალიონი“, გაზეთი, რომელზედაც ჩვენ გავიზარდეთ. ამისთვის იბრძვის ჩვენი პარტია და ვინც არ უნდა გააკეთოს მსგავსი აქცია მედიის თავისუფლებისათვის, ჩვენ ყველას გვერდით დავუდგებით. “

გაზეთი „ალიონი“ ყველა ჭეშმარიტ კოლეგას კიდევ ერთხელ ულოცავს პროფესიულ დღეს. უსურვებს თავისუფალ, დემოკრატუილ ქვეყანაში ცხოვრებასა და მუშაობას.

მადლობას უხდის ჩვენი საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთი თანადგომა გამოხატეს და მოსაზრებები გამოთქვეს ჩვენი აქციისა და გაზეთის მისამართით და მათაც, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია თავისუფალი სიტყვა.

შეხვედრა სარეაბილიტაციო ცენტრში



ქალაქის ცენტრში გამართული აქციის შემდეგ ალიონის ჟურნალისტები, მამა ბასილი, (კვიჩილაძე), მამა საბა (სიხარულიძე) ეწვივნენ ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრს. მოძღვრებმა დალოცეს ცენტრის წევრები. ნუგზარ ასათიანმა უნარშეზღუდულებს, პედაგოგებს ჟურნალისტ ეთერ ქადეიშვილის წიგნი „შორიდან ვეტრფი ტაოს და კლარჯეთს...“ გადასცა. ცენტრის ხელმძვანელმა რომან ლომაძემ მადლობა გადაუხადა სასულიერო პირებს, ჟურნალისტებს მათთან სტუმრობისთვის და ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წიგნის ავტორმა ვერ შესძლო მათთან მისვლა, უახლოეს დღეებში ჟურნალისტ ეთერ ქადეიშვილთან ცენტრში შეხვედრის ორგანიზება გაზეთ „ალიონს“ სთხოვა.

„ალიონის“ დასადგმელი ჯიხურის ესკიზი და „ჩანაცვლებული“ ჯიხური

ქართული ჟურნალისტიკის დღე მოგვილოცეს

ნინო ნიკოლაიშვილი

რედაქციაში ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის IV-ა კლასის მოსწავლეები დამრიგებელთან, ქ-ნ ნანი სალუქვაძესთან ერთად გვესტუმრნენ და ქართული ჟურნალისტიკის დღე და გაზეთის 80 წლის იუბილე მოგვილოცეს. ჩვენმა პატარა მეგობრებმა და კოლეგებმა, რომლებმაც თავიანთი კლასის გაზეთ „კესანეში“ არაერთი ლამაზი, ბავშვური უშუალობით შესრულებული სტატიები დაუწერიათ, და რომელთა ლამაზი გაკვეთილები თუ ღონისძიებები არაერთხელ აღწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თავიანთი დამოკიდებულება გაზეთის მიმართ, ასეთი სიტყვებით გამოხატეს და რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ:

–„ძვირფასო „ალიონელებო“! ვიცით, გეამაყებათ ათეული წლების მიღმა გამოტარებული გაზეთის ისტორია. რომელიც იცის თითოეულმა ოზურგეთელმა. ახსოვთ თქვენი დიდების დღეები, ვიცნობთ დღევანდელ რთულ ყოფას, გვჯერა ხვალის. რამეთუ, თქვენი გაზეთის ყოველ ნომერს ინტერესით მოველით. გვწამს, გვეტყვით სიმართლეს, გამოგვიმზეურებთ იმ ტკივილებს, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაწუხებს. ტომებად შეკრული გაზეთ „ალიონის“ ყოველწლიური კრებულები დიდი განძია, უზარმაზარი შრომა, ერუდიცია და ყოველდღიური ცხოვრებაა.

დღევანდელ „ალიონელებს“ ბეწვის ხიდზე გავლა გარგუნათ ბედმა. მეტი ამტანობის გამოჩენაც დაგჭირდათ. მაგრამ არასოდეს გიღალატიათ ზნეობრივი კრიტერიუმებისათვის, თანადგომისა და სიყვარულისათვის...

ყოველთვის გვაქვს თქვენთვის საუკეთესო სურვილები და ახლაც, თითოეულ თქვენგანს გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, კალამს, რომელიც ხმალზე მეტად ჭრის და სიტყვას, რომელსაც საქმე მოჰყვება...

მადლობას გიხდით ერის სამსახურისთვის!“

თამარ ბაზიარი, ქეთი ბაჯელიძე, ავთანდილ გობრონიძე, აკაკი ზღულაძე, ნინო ლომინეიშვილი, შალვა მკურნალიძე, თამარ მკურნალიძე, ანა მორჩილაძე, გუგა მჟავანაძე, მიხეილ ნიკოლაიშვილი, ნინო საპანაძე, გვანცა ტრაპაიძე, მიხეილ ჩიტაიშვილი, ხატია ჭეიშვილი, რეზო სანიკიძე. კლასის დამრიგებელი ნანი სალუქვაძე. შემდეგ პატარებმა შეკითხვები დაუსვეს რედაქტორს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მადლობას უხდის ჩვენს პატარა მეგობრებს გულთბილი მოლოცვისათვის. ქ-ნ ნანის, კარგი მასწავლებლობისათვის. თავისი საქმისა და ბავშვების უსაზღვროდ დიდი სიყვარულისთვის. ხოლო ჟურნალისტობაზე მეოცნებე გვანცას, ნინოს, თათიასა და ხატიას, სამართლიან ქვეყანაში ცხოვრებას, ჭეშმარიტ ჟურნალისტობას უსურვებს, რომელთათვისაც ყოველთვის იქნება მთავარი – ადამიანში პირველ რიგში დაინახოს პიროვნება და არა მხოლოდ სენსაცია.

ანა ბერძენიშვილი 80 წლისაა

ნუგზარ ასათიანი

19 მარტს, დიდებულ პედაგოგს, ქართული ენისა და ლიტერატურის უპირველეს ქომაგს, ქალბატონ ანა ბერძენიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ დღეს მას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი, №1 საჯარო სკოლის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები ესტუმრნენ.

–რაც შემომრჩა, ეს აზროვნებაა, ვერ დავძლიე ზაზას ტკივილი, მაგრამ დღეს შვილთაშვილი, 8 თვის ანდრია (ჩემი ოჯახის პირველწოდებული)– ეს ჩემი გაგლეჯილი გულის სიხარულია–ბრძანა ქალბატონმა ანამ– ექიმს ავადმყოფი თუ არ უყვარს, მოსამართლეს– ადამიანი, მასწავლებელს–ბავშვი, არაფერი არ გამოვა; ცუდი პედაგოგი სულს უმსხვრევს ბავშვს, დამსხვრეული სულის აღდგენა ძნელია.

ქალბატონმა ანამ მის მშობლიურ №1 საჯარო სკოლაში საუკეთესო მასწავლებლად ნანი სალუქვაძე დაასახელა–ნანი პედაგოგადაა დაბადებული.

ქალბატონი ანა ქართველი მწერლის გურჯი თახის (თორნიკე მაჭარაშვილი, ნოდარ დუმბაძის ქალიშვილის ქმარი), 600 გვერდიან წიგნზე „ბუხარი“ გვესაუბრა.

–მეგონა ნოდარ დუმბაძემ ამოწურა სამშობლოს ცნების განმარტება, მაგრამ თორნიკემ სრულად ახლებურად წარმოადგინა ის. თორნიკე თახი მეუბნება, სიყვარულს დიდი ბოროტების ჩადენაც შეუძლია, ამის მაგალითად შექსპირის „ოტელო“ მოჰყავს.

პავლე მოციქული ამბობს: –ჭეშმარიტი სიყვარული უდიდესი ბედნიერებაა ადამიანისა.სანამ სიყვარული არის ამ ქვეყნად, სანამ მისი ფესვები უვლის დედამიწას, არ გადავშენდებით. ჩვენ საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია II დღეგრძელობა ვისურვოთ– ისაა ჩვენი პატრონი, სანამ ის გვეყოლება, მანამ კარგად ვიქნებით.–ბრძანებს ქალბატონი ანიკო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ ანა ბერძენიშვილს დაბადებიდან 80 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

„თესლის გავრცელების ეს ფორმა სახელმწიფოს წინსვლაზე არ არის გათვლილი“

ნუგზარ ასათიანი

ჰიბრიდი სიმინდის თემა აქტუალობას არ კარგავს. ამ სიმინდის გავრცელების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოცირებულ დოქტორს, ქალბატონ **მარინა სუნგულიას** ვესაუბრეთ;

–ჰიბრიდი სიმინდი– ეს ჩვეულებრივად სელექციური გზით მიღებული სიმინდია და ხშირად ადამიანებს გენმოდიფიცირებულში ერევათ, რასთანაც საერთო არაფერი არ აქვს.

ჰიბრიდ სიმინდებს აქვს თავიანთი დადებითი მხარე ის, რომ მაღალი მოსავლით ხასიათდებიან.

ამერიკულ ჰიბრიდ სიმინდებში არის სხვადასხვა აგროტექნიკური მოთხოვნების და შესაბამისად თავისი ბიოლოგიით განსხვავებული სიმინდები, თუნდაც ვეგეტაციის სხვადასხვა ვადით, რის ცოდნასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, უნდა იცოდე, რომ ადგილობრივი ჰიბრიდები თუ ჯიშები ყვავილობის ფაზებით ავაცდინოთ ერთმანეთს, რომ არ მოხდეს გადამტვერვა.

ამერიკული სიმინდის ჰიბრიდებში, არის გვალვაგამძლე, საადრეო, მრავალი სხვა ნიშნით გამორჩეული ხაზები, მაგრამ ამისთვის საჭიროა იცოდე, რას თესავ, ხოლო იმ მეთოდით, რა მეთოდითაც დარიგდა ამერიკული სიმინდის ჰიბრიდი თესლი (დაძალებით საჯარო მოხელეებზე), ეს დანაშაულია, როგორც ადგილობრივი ხალხის, სიმინდის ქართული ჯიშების თუ ჰიბრიდების მიმართ, ასევე ამერიკული კომპანია „პიონერისა“ და ამერიკული ჰიბრიდების მიმართ. დაძალებამ და გაურკვევლობამ ამ სიმინდების მიმათ, უარყოფითად განაწყო ხალხი.

რაც შეეხება ქართული ჰიბრიდებისა თუ ჯიშების მიმართ ჩადენილ დანაშაულს, იგი შემდგომში გამოიხატება: ჰიბრიდებმა ერთმანეთი რომ არ გადამტვეროს, საჭიროა მათი აცდენა დროსა და სივრცეში. თესლების ასეთი უსისტემო დარიგება და უცოდინარობა გამოიწვევს ადგილობრივი ჰიბრიდების გადამტვერვას, რაც რამდენიმე წლის შემდეგ დამოკიდებულს გაგვხდის, მხოლოდ შემოტანილ ძვირადღირებულ სიმინდის თესლზე.

მე მინდა ქართულ საზოგადოებას და მთავრობას გავახსენო ის პერიოდი, როცა იზოლიაციაში მოვექეცით, დასავლეთი საქართველო სიმინდმა და ლობიომ გადაარჩინა, ამიტომ ვერაფერი სიკეთეა ადგილობრივ ჯიშებთან შეგნებული თუ შეუგნებელი ბრძოლა.

ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ქართული ჰიბრიდები და ჯიშები, რომელთა ხელშეწყობა უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, ასევე შეიძლება გონივრულად ამერიკული ჰიბრიდების გამოყენება. მათ ძალიან კარგი საფურაჟე ჰიბრიდები აქვთ, მაგრამ მოსახლეობას უნდა გავაცნოთ ისე, რომ ეს ძვირადღირებული თესლები ძვირად ღირებულ მოვლას მოითხოვს. მაღალი მოსავალი რომ მოგვცეს, კვებისათვის სჭირდება კალიუმი, ფოსფორი, აზოტი, რომელსაც გვპირდებიან. მერწმუნეთ, ასეთი კვებისას ადგილობრივი ქართული ჰიბრიდებიც ბრწყინვალე მოსავალს იძლევიან.

ამიტომ, ამერიკული სიმინდის თესლის ასეთმა უსისტემო დარიგებამ გამიჩინა კითხვა: –ვის სჭირდება ეს?

თესლის გავრცელების ეს ფორმა გლეხებზე, სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფოს წინსვლაზე გათვლილი ნამდვილად არ არის.

პატარა შემოქმედი

თეონა ჩხარტიშვილი

რობიკო ცინცაძე... ეცნობი ამ პატარა ბავშვის შემოქმედებას და გული სიხარულით ივსება. გეამაყება, რომ მისი სახით ღირსეული მამულიშვილი ეზრდება ქვეყანას. იგი №1 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეა. სწორედ მას მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც მისივე კლასის დამრიგებლის რუსუდან სარიშვილის ინიციატივით მოეწყო. პედაგოგმა დამსწრე საზოგადოებას გააცო რობიკოს ხელნაწერი წიგნი, სადაც შესულია მისი მოთხრობები.

- ადამიანი, რომელსაც უყვარს ლიტერატურა, წაკითხული აქვს მრავალი ნაწარმოები, რომლის შესახებაც თავისი მოსაზრებები აღწერილი აქვს ცალკე რვეულში, რომელიც საუკეთესოა ყველა საგანში, არის არაერთი დიპლომისა და სიგელის მფლობელი, ასე დაახასიათა რობიკო ქ-მა რუსუდანმა.

რობიკოს მოთხრობები („პირველი თოვლის მოსვლა“; „ფიფქი“; „ახალი წლის ღამე“) განიხილა სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ნანი სალუქვაძემ.

– თითოეულ ნაწარმოებში იგრძნობა სისუფთავე, სისადავე, ჩამოყალიბებული აზროვნება, რაც ნამდვილად გასაოცარია ასეთი პატარა ბავშვისთვის – აღნიშნა ნანი მასწავლებელმა და ისიც დაამატა, რომ რობიკო არის სკოლის ღირსება და სიამაყე.

თავად რობიკომ წაიკითხა მისი რამდენიმე მოთხრობა. უსმენ და ხვდები, თუ როგორ წვდება იგი თითოეული სიტყვის არსს და შეიგრძნობს მას.

– აი, ჩიტების გუნდი მოფრინდა, მსხლის, თოვლისაგან დამძიმებულ ტოტებზე შემოსხდნენ ბეღურები. მერე ყველა ერთად აფრინდა. მსხლის ხემ თოვლის საფარველი შემოიცალა, ტოტები ცისკენ სწრაფად ასწია და ტაში შემოჰკრა. .

პედაგოგებმა პატარა შემოქმედს კითხვები დაუსვეს, რომელსაც ის ჩვეული სიდინჯით პასუხობდა. როგორც მისგან შევიტყვეთ, ის თავს ყველაზე კარგად სკოლაში გრძნობს მეგობრებთან და საყვარელ რუსიკო მასწავლებელთან ერთად, რომელსაც დიდი ამაგი აქვს მასზე გაწეული. თავისუფალ დროს კი წიგნის კითხვა ურჩევნია. საყვარელი მწერლებია ნოდარ დუმბაძე და ჰარიეტ ბიჩერ სტოუ. რობიკოს ყველაზე დიდი ოცნებაა, ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ გაჭირვებულებს დაეხმაროს. რაც შეეხება პროფესიას, თუ ვინ უნდა გამოვიდეს? – მწერალიო – გვეუბნება, ან რა გასაკვირია... სკოლის დირექტორმა ქ-მა მაია თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ის ამაყია, რადგან რობიკო მათ სკოლაში სწავლობს და წარმატებები უსურვა სამომავლოდ. დედამ, ქ-მა ელიკო ჯინჭარაძემ მადლობა გადაუხადა შვილის მასწავლებელს, სკოლას და თქვა, რომ მის შვილს იღბალი არგუნა ღმერთმა, რომ ასეთ გარემოში მოხვდა.

„თუ განსხვავებული აზრი არ იქნება, ქვეყანა ვერ განვითარდება!“

გაზეთი „ალიონი“

„სულ არაობას, ცალულელა ხარი სჯობია“

სოფ. ძიმითში მოსახლეობასთან შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა თქვა, რომ ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ძირითადი დანიშნულებას სოფლის ეკონომიკური და სოციალური პროგრამების მოგვარება შეადგენს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მარტო არჩევნების დროს მოვიდეთ.“

ეს შეხვედრა რომ დინამიურად ჩატარდა, ეს უპირველესად ამ სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის შალვა თავდიშვილის დამსახურებაა, რომელსაც ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი.

შარშან მათ ადგილობრივი ძალებით სოფლისთვის გამოყოფილი თანხებით გაარემონტეს სოფლის შიდა გზები, მათ შორის თირის უბნის პრობლემური გზა, სადრენაჟე არხები გაუკეთეს სკოლის მიმდებარე დამეწყრილ ტერიტორიას. გარეგანათების ლამპიონები დადგეს სკოლის ეზოს წინ, ნასაკირალის უბანში მოსაცდელი ააგეს და ა.შ.

შარშან №6 ბრიგადაში 60 ოჯახისათვის წყლგაყვანილობის 1,2 კმ. სიგრძის მილები შეუძენიათ, მაგრამ ვინაიდან მეზობელ უბანსაც ამ მაგისტრალიდან აქვთ წყალი გასაყვანი წლევანდელ დაფინანსებას ელოდებიან, რომ მილები მეზობლებამაც შეიძინონ და ერთად გადაჭრან პრობლემა.

,,–მდინარე სუფსაზე არსებული კაპიტალური ხიდი გაიქურდა, თუჯის მოაჯირები მოხსნეს. პოლიციამ ქურდი დაიჭირა, ფული შეატანინეს და გამოუშვეს, მივდივარ პოლიციაში, მეუბნებიან, კანონის ძალითაა ქურდი გაშვებული (?!),–ამბობს სოფლის დეპუტატი.

ამას ისიც ემატება, რომ ხიდს მარჯვენა ბურჯი მდინარე სუფსამ გამოუშალა და ნაპირსამაგრი დაზიანებულია. ამ პრობლემის მოგვარება ცენტრალური მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს.

ხიდის გარდა, გაზის მილების გაყვანისას მდინარე სუფსამ მიმართულება შეიცვალა და სოფელს რამდენიმე ჰექტარი საყანე ფართობი წაართვა. ეს პროცესი გრძელდება. მეწყერულ ზონაში მცხოვრები რამდენიმე ოჯახის პრობლემაც ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

ფაფასკურელი გელა გოგუაძეს წყლის პრობლემის მოგვარება, ამბულატორიისა და კლუბისათვის მინების ჩასმა და სოფელში ბიბლიოთეკის აღდგენის საკითხი აწუხებს.

–სოფელში 800 კომლია. ბიბლიოთეკის 8 ათასი წიგნადი ფონდი შენარჩუნებული გვაქვს. რა მოხდება ბიბლიოთეკა აღდგეს, საშუალება მოგვეცეს ადგილობრივი გაზეთები მაინც წავიკითხოთ –თქვა მან.

საბავშვო ბაღის გამგე ნაზიბროლა შენგელიამ ბაღში ახალი ჯგუფის გასნა (სოფელში ბევრია ბაღის ასაკის ბავშვი) ითხოვა. ამასთანავე დახმარება ითხოვა ბაღის ეზოს მოწესრიგებაში და სათამაშოების შეძენაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბაღის გამგეს უარი უთხრა ჯგუფის მომატებაზე, აუხსნა, რომ ამის საშუალებას ადგილობრივი ბიუჯეტი არ იძლევა.

შეხვედრაზე განსაკუთრებულად გამოიკვეთა ელექტროენერგიის მოწოდებაში არსებული პრობლემები.

,,–1956 წელში გაყვანილი ხაზები ამაგრებენ ,,სტოლბებს“, ხან სად დაზიანდება და ხან სად. 15 დღე სოფელი უშუქოდ იყო. წელს 2 ძროხა და რამდენიმე თხა მოკლა ჩამოვარდნილმა ელექტროსადენმა. ზარალს ვინ ანაზღაურებს?! ერთ-ერთ უბანში 7 დღე იყო ელექროგადამცემი ხაზები ერომნეთში გადადებული. 4.000 კილოვატი ,,დაიწვა“. ამ უბნის თითოეულმა ოჯახმა 42-42 ლარი დამატებით უნდა გადაიხადოს.?! ,,ენერგო პრო ჯორჯიას“ ინვესტორს ვეძახით, თორემ ტრანსფომატორში ზეთი ჩვენ უნდა ჩავასხათ და ხაზებს ვუყარაულოთ..“

ამ პრობლემის მოგვარება ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაშია, რასაც მოჰყვება ამორტიზებული ბოძების და ხაზების გამოცვლა, რასაც რამდენიმე საშტატო ერთეულიც მოყვება, მაგრამ მანადე...?

აგრონომ მურმან სალუქვაძის თქმით, ,,სულ არაობას, ცალულელა ხარი სჯობია,“ ასე რომ ძიმითლები ასე ეტაპობრივად ამჯობინებენ ლოკალური პრობლემების დაძლევას.

„ახალგაზრდები აღარ დარჩნენ სოფელში, ვის გავუკეთოთ კომპიუტერული ცენტრი?!“

სოფ. ნაგომარში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების შეხვედრა უფრო დაძაბულ რეჟიმში მიმდინარეობდა. შეხვედრაზე მოსული მოსახლეობის უმრავლესობა კრიტიკულად იყო განწყობილი ,,სოფლის განვითარების პროგრამის“ შედეგებისადმი.

შარშან სოფლის მოსახლეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სოფლისთვის გამოყოფილი 30 ათასი ლარი საბავშვო ბაღის შენობის თანამედროვე დონეზე გასარემონტებლად მიემართათ. მართლაც, ნაგომრელებმა საკუთარი ძალებით კაპიტალურად გაარემონტეს სოფლის ადმინისტრაციული შენობის ნაწილი, მოაწყვეს სველი წერტილები და ა.შ. ფაქტიურად საბავშვო ბაღისათვის საუკეთესო პირობები შექმნეს. ბაღის ასამოქმედებლად ერთ ჯგუფზე (25 ბავშვი) დაახლოებით 8-9 ათასი ლარის ინვენტარი და 21 ათასი ლარის ხარჯი იყო საჭირო (პედაგოგების ხელფასი, ბავშვების კვების ხარჯები და ა.შ.)

,,–მუნიციპალიტეტის წლევანდელი ბიუჯეტით ვერ დავაფინანსეთ ნაგომრის ბაღის გახსნა, 2012 წელს შეიძლება ბაღის გაშვება, იქნებ მანამდე სხვა დატვირთვა მივცეთ, ახალგაზრდული ორგანიზაციისათვის ინტერნეტი ჩავრთოთ“–მიმართა შეკრებილთ ალეკო მამეშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარის ამ სიტყვებს ნაგომრიელთა რეპლიკები მოჰყვა:

,,-თუ დაფინანსება არ იქნებოდა, რა საჭირო იყო შენობის გაკეთება?!“

ჟანა სიმონია, პედაგოგი:– ,,ახალგაზრდები აღარ დარჩნენ სოფელში, ვის გავუკეთოთ კომპიუტერული ცენტრი?!“

თამრიკო ახალაძე:–,,არავინ უწყობს ხელს ახალგაზრდებს, ამიტომ მიდიან სხვა ქვეყნებში სამუშაოდ!“

ნოდარ წიქარიძე: –,,ბაღი არ გახსნილა და ახლა კომპიუტერები დავდგათ? გზა არ გვაქვს, წყალი არ გვაქვს, გაზი არ გაგყავთ... “

ალეკო მამეშვილი:–,, ამ ეტაპზე გაზს ვერ გამოვიყვანთ, რადგან გაზზე შეჭრა არ არის გაკეთებული...

იური წიქარიძე:–,,გუბერნატორთან შეხვედრა არ ხერხდება. მე რომ ჩავდივარ ოზურგეთში, 180 კაცია უკვე სიაში... ადამიანს თუ განსხვავებული აზრი აქვს, ან მტრად ნათლავენ, ან ოპოზიციად... თუ განსხვავებული აზრი არ იქნება ქვეყანა ვერ განვითარდება!

შარშან გზა უნდა გაკეთებულიყო, გრეიდერს უნდა გაევლო, ვინ გადაწყვიტა ბაღის შენობა გაერემონტებიათ? გაზმა დამცინავად ჩაუარა სოფელს, წყალი არ არის, აიმღვრა ჭები. ჩვენ რაც არ უნდა გითხრათ, თქვენ მაინც თქვენს გააკეთებთ!

მანანა დათუნაშვილი,–შარშან სპორტული მოედნის მოწყობაზე დაიხარჯა თანხა, გადახნეს და საქონლის საბალახოდაა გადაქცეული სტადიონი! 4 ათასი ლარი დაიხარჯა სოფლის ცენტრში არტეზიული ჭის გასაკეთებლად, სასმელი წყალი არ არის შიგ.

ი. კილურაძე:–,,წისქვილის აგება რად გვინდა, სოფელში სიმინდი არ არის!“

ჟანა სიმონია:–,, არჩევნებისას რომ მდინარის ქვიშის მაგივრად მიწა დაყარეს გზებზე, ტალახში დავდიოდით, ერთი წელი დასჭირდა გზის გადარეცხვას!“

ეთერი ზურგაშვილი:–,,4 ოჯახი ვცხოვრობთ ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინაში. ვინც ფაბრიკა შეისყიდა, გვემუქრება, ,,გაგრეკავთ ბინიდანო“.

შეხვედრაზე შექმნილი კრიტიკული სიტუაცია, ალეკო მამეშვილის შეთავაზებულმა წინადადებამ ნაწილობრივ განმუხტა, ,,ჯობს ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ“–შესთავაზა მან ნაგომრელებს. ეს კარგი საქმე ერთ-ერთი აქაურის მიერ შეთავაზებული მდინარე ყურეფას ნაპირზე 200 საყანე ფართობის გადარჩენა იყო. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მიშიკო გოგოტიშვილმა ოპერატიულად დაადგინა 40 მეტრი გაბიონის მოწყობას და 200 მეტრი მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნებას დაახლოებით 15 ათასი ლარი, ანუ ამ სოფლისათვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის 50 პროცენტი დასჭირდება. ამ თემაზეც აზრთა სხვადასხვაობა იყო. დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ითხოვა სკოლის ეზოში არტეზიული ჭის მოწყობა, რადგან სკოლის მოსწავლეებს სახლიდან უხდებათ სასმელი წყლის მიტანა. სოფლის ყველა უბანში შეიცვლება დაზიანებული მილხიდებიც.

ბუნებრივია, მოსახლეობის ასეთმა მიდგომამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებსაც დაანახვა არსებული რეალობა და სოფლის საჭიროებანი.

* * *

შეხვედრის შემდეგ ნაგომრელებს ვესაუბრეთ. მათ პირველ რიგში ,,სოფლის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გაკეთებული ჭა გვაჩვენეს, რომელსაც არც ჯაჭვი ჰქონდა და არც სათლი წყლის ამოსაღებად. თავად ჭაში მღვრიე წყალი იყო. შემდეგ სოფლის ბაღის საუკეთესო შენობა გაიხსენეს, რომელიც რატომღაც განათლების მესვეურებმა საპრივატიზაციოდ გაწირეს, ,,ინვესტორმა“ შენობა დაშალა და გაყიდა. ის შენობა რომ არ გაეყიდათ, დღეს ბაღის პრობლემა არ ექნებოდა სოფელს–ამბობდნენ ისინი. ახალგარემონტებული ბაღის ერთ-ერთ ოთახში სახურავიდან წყალი ჩამოდის და ზიანდება. ოზურგეთში ერთ-ერთი პირველი სოფელი, სადაც 4 მხატვრული ფილმია გადაღებული, დღეს ასე სავალალოდ გამოიყურება.

თავისუფალი დემოკრატები სოციალური პაკეტის გადახედვას მოითხოვენ

ნინო ნიკოლაიშვილი

ტიტე მგელაძე ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებს შეეხო. –,,ქვეყანაში ბოლო 20 წლის განმავლობაში შეიქმნა უმძიმესი სოციალური მდგომარეობა. ყველაზე მეტად დაუცველი დარჩა ბავშვთა ასაკის მოსახლეობა(18 წლამდე). რამდენიმე წლის წინ აღნიშნული კონტიგენტის სამედიცინო მომსახურების ხარჯებს 80%-იანი დაფინანსებით უზრუნველყოფდა სახელმწიფო. ხარჯების მხოლოდ 20% -ის დაფარვა უხდებოდა პაციენტს. დღეისთავის სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია. 80%-იანი თანადაფინანსებით სარგებლობს მხოლოდ 3 წლამდე ასაკის ბავშვები. სამიდან 18 წლამდე ასაკი არ შედის დაფინანსების სფეროში. როგორც მწვავე, ისე გეგმიური მკურნალობის ხარჯებს იხდის პაციენტი. ჩვენი, ,,თავისუფალი დემოკრატების“ უპირველესი ამოცანა იქნება ბავშვთა ასაკის მოსახლეობის 100%-იანი დაფინანსება.“

ტიტე მგელაძემ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო სადაზღვევო პოლიტიკაზე და ბიუჯეტიდან კერძო სადაზღვევო კომპანიების ანგარიშებზე გადარიცხულ თანხებს (15 მილიონამდე ლარი) არასწორად განკარგული უწოდა. – ,,აღნიშნული თანხების განკარგვა არ ხდება მიზანმიმართულად. საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი გადადის კერძო კომპანიების საკუთრებაში. სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად შეამციროს შუამავალ (სადაზღვევო) კომპანიათა როლი და ყოველი თეთრი უნდა იქნას დროულად მიწოდებული კონკრეტულ ადრესატამდე. ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახები საჭიროებს სოცალურ დახმარებას, პოლისს და ა. შ. ისინი კი რატომღაც ამოღებულნი არიან შეჭირვებულთა საერთო ბაზიდან.“ მგელაძემ მაგალითისთვის ერთ სოფელში არსებული ორი ასეთი შემთხვევა დაასახელა. სოფ. მთისპირში მცხოვრები თამუნა შავაძე, რომელიც საჭიროებს ძვირადღირებულ ხანგრძლივ მკურნალობას, რომლის საშუალება ოჯახს არ გააჩნია. მეორე გახლდათ სერგო მეგრელაძე, ოჯახის ხუთი წევრიდან პოლისი მას არ გააჩნია, მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალური აგენტის ოჯახში მისვლის დროს ის სახლში არ იმყოფებოდა.

ფაქტების დასახელების შემდეგ გამომსვლელმა, აღნიშნული საკითხების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა მოითხოვა ხელისუფლებისაგან, რათა მოსახლეობის ნაწილი არ დარჩეს დახმარების გარეშე, ხოლო მსგავსი უფლებების დარღვევების შემთხვევაში, მიმართა მოსახლეობას, დაუკავშირდნენ მათ, რათა შეისწავლონ მათი მდგომარეობა და გარკვეულწილი დახმარება გაუწიონ ამ საკითხების მოგვარებაში.

,,თავისუფალი დემოკრატების “ ლიდერმა თემურ სალუქვაძემ სოციალურ სფეროში არსებული პრობლემები კიდევ ერთხელ დაუკავშირა ბიუჯეტის არასწორ განკარგვას, არასრულ სოციალურ პაკეტს და აღნიშნა, რომ ყოველივე ამის შედეგად ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა დაუცველი და მიტოვებული. –,, თამუნა შავაძე თავად მოვინახულე, ის უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. შემდეგ ჩვენთან მოვიდა თამუნას დედა, ჩვენს წინ განწირული ადამიანი იდგა. როცა სოფლის მეურნეობაზე ვსაუბრობდით, ხელისუფლებაც ალაპარაკდა. იქნებ ასე მოხდეს სოციალურ სფეროზეც. რადგან ძალიან ბევრი გაჭირვებული ადამიანი გვყავს, რომელთაც აუცილებლად ესაჭიროებათ მდგომარეობის შემსუბუქება, რისთვისაც აუცილებელია სოციალური პაკეტის გადახედვა. კანონმდებლობაში ბევრი ლაფსუსი არსებობს, რასაც დახვეწა სჭირდება. ჩვენ მხოლოდ კრიტიკით არ შემოვიფარგლებით, ჩვენგან წამოვა პროფესიულ დონეზე შესრულებული რეკომენდაციები.

* * *

თამუნა შავაძის მძიმე მდგომარეობის შესახებ არაერთხელ დაწერილა გაზეთ ,,ალიონის“ ფურცლებზე. გავრცელდა ჟურნალისტების ნაწილის ერთობლივი მიმართვა ხელისუფლებისადმი, რასაც რეაგირება ჯერ-ჯერობით არ მოჰყოლია.